# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 142

„24“ მაისი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირისა და აკაკი ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის სლოვაკეთის რესპუბლიკის დედაქალაქის ბრატისლავას სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირისა და აკაკი ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს სლოვაკეთის რესპუბლიკის დედაქალაქის ბრატისლავას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


481440 000000
481460 000000
481480 000000
481500 000000
481520 000000
ბელიაშვილის ქ.
ბრატისლავას სკვერი
წერეთლის გამზ.
აკაკი ბაქრაძის ქ.
დიდუბის ხიდი
481440 000000
481460 000000
481480 000000
481500 000000
481520 000000